ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 12 ნოემბერი, 2019 წელი

დრო: 11:00 -13:00

შეხვედრის ადგილი: ლიბერალური აკადემია - თბილისის ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ლაშა ტუღუში - ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი
2. სულხან სალაძე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
3. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
4. მურმან მარგველაშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართელოსთვის
5. ცირა მესხიშვილი - ასოციაცია „ტოლერანტი“
6. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა
7. თამარ გაბისონია - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
8. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“

განსახილველი საკითხები:

- ✓ ეროვნული პლატფორმის შიდა რეგრანტინგის საკითხის განხილვა
- ✓ დავების განმხილველი ორგანოს მიერ შემუშავებული დებულების განხილვა
- ✓ სექტორული შეხვედრები
- ✓ სხვა საკითხები

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ, ლაშა ტუღუშმა. მან საკოორდინაციო საბჭოს წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი და განსახილველი საკითხები.

თავდაპირველად, მმართველი კომიტეტის თავმჯდომარემ განიხილა პროგრამული მხარდაჭერის საკითხი. საკოორდინაციო საბჭომ უკვე დაამტკიცა სამი დოკუმენტი, ესენია: პროგრამული მხარდაჭერის შესახებ დებულება; პროგრამული მხარდაჭერის სახელმძღვანელო და ასევე საპროექტო განაცხადის ფორმა. პროექტის მხარდამჭერი სახელმძღვანელო ითარგმნა და გადაიგზავნა ბრიუსელის სამდივნოში, სადაც შემფასებელი კომისია განიხილავს დოკუმენტს. ბრიუსელისგან მიღებილი საბოლოო დასტურის შემდეგ იქნება შესაძლებელი რეგრანტინგის გამოცხადება.

საკოორდინაციო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ პროგრამული მხარდაჭერა გაიცემა მიმდინარე პროექტის საფუძველზე შექმნილი კომისიის მიერ, რომელიც შედგება საკოორდინაციო საბჭოს 5 წევრისგან და აღნიშნულ კომისიის თავმჯდომარე იქნება ეროვნული პლატფორმის მმართველი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სულხან სალაძე. სამუშაო ჯგუფის კოორდინატორები, ერთმანეთში, ორი დღის განმავლობაში, შეთანხმდებიან თუ რომელი კოორდინატორი შეითავსებს კომისიის წევრის სტატუსს.

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრაზე განიხილეს სექტორული შეხვედრების ჩატარების საკითხი. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკის სამინისტრო ინტერესს გამოხატავს, ენერგეტიკისა და გარემოს დაცვით საკითხებთან დაკავშირებით შეხვედრის ჩატარებასთან დაკავშირებით. მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორები და საკოორდინაციო საბჭო შეთანხმდა, რომ სამდივნომ დაიწყოს მოლაპარაკებები ენერგეტიკის საკითხზე სექტორული შეხვედრის ჩატარებისთვის. ასევე სექტორული შეხვედრა გარემოს დაცვით საკითხებზე ჩაინიშნება ნოემბრის ბოლო კვირაში, რომელზეც განხილული იქნება წყლის კანონი და ტყის კანონპროექტი.

საერთო კრებაზე არჩეული დავების განმხილველი ორგანოს წევრებს, ერთი თვის განმავლობაში უნდა შეემუშავებინათ დებულება. გასულ კვირას, სამდივნომ მიიღო მათგან დებულების სამუშაო ვერსია, რომელიც საკოორდინაციო საბჭომ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს. შესაბამისად, მმართველი კომიტეტის წევრებს, ელექტრონულად დაეგზავნებათ დავების განმხილველი ორგანოს დებულება. მათ კვირის ბოლომდე უნდა განიხილონ აღნიშნული დოკუმენტი და სამდივნოს აცნობონ თავიანთი მოსაზრების შესახებ.

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრაზე ჯგუფების კოორდინატორებს დავალათ, რომ კვირის ბოლომდე თავიანთი ჯგუფების სამოქმედო გეგმები მიაწოდონ სამდივნოს.

ეროვნული პლატფორმის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივით, უნდა დაიგეგმოს შეხვედრა კუალიციის წევრ ბიზნეს ასოციაციებთან. შეხვედრის დღის წესრიგის განსაზღვრის მიზნით, საბჭოს წევრებმა წერილობით უნდა აცნობონ სამდივნოს იმ თემების შესახებ, თუ რა საკითხებზე შეიძლება მათთან სამუშაო ფორმატის შეხვედრეის ჩატარება,

რომელსაც ექნება როგორც ინფორმაციული ხასიათი, ასევე გამოიკვეთება თუ რა ფორმით შეიძლება დაუჭიროს პლატფორმამ მათ მხარი.

შეხვედრის დასასრულს, მოწვეულმა სტუმარმა, კახა გოგოლაშვილმა, მმართველი კომიტეტის წევრებს მიაწოდა დეტალური ინფორმაცია ახალ ინიციატივასთან დაკავშირებით. კერძოდ შემუშავდა თანამშრომლობის ახალი ფორმატი, რომელიც აერთიანებს აღმოსავლეთ პარტნიორობის 3 სახელმწუფოს: უკრაინას, მოლდოვასა და საქართველოს. ღნიშნული თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ქვეყნების განვითარებასა და წინსვლას, ასევე ევროკავშირში გაწევრიანებას. უკრაინული სოროსის ფონდის ინიციატივით დეკემბერში ხელი მოეწერება მემორანდუმს სამი ქვეყნის ეროვნულსა და ევროკავშირთან ორმხრივი ურთიერთობების სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმებს შორის თანმშრომლობაზე.

შეხვედრის დასასრულს საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ, მადლობა გადაუხადა საკოორდინაციო საბჭოს წევრებს შეხვედრაზე მონაწილეობისთვის.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე